სილქნეტი
SILKNET

№ 1640/09-8 "02" 05 2014

შპს „მერკური-ვაკე" დირექტორს

ბატონ ზურაბ აბესაძეს

მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის N80

საკონტაქტო ნომერი: 571332730

ბატონო ზურაბ,

2014 წლის 2 მაისს, სს „სილქნეტში" შემოვიდა თქვენი წერილობითი განცხადება N8/1656, ქ.თბილისში, ჭავჭავაძის N80 (საკადასტრო კოდი: 01.14.10.001.066, 01.14.10.001.071 და 01.14.10.001.072) განთავსებული სს „სილქნეტის" საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ელემენტების გადატანის და მასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების შესახებ.

2007 წლის 04 ივნისის საქართველოს მთავრობის N134 დადგენილების საფუძველზე, საკომუნიკაციო ელემენტები წარმოადგენენ სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფ სახაზო ნაგებობებს. შესაბამისად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეკრძალებათ, მათ მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაში განთავსებული (გამავალი) ხაზობრივი ნაგებობების თვითნებურად გადატანა და მასთან დაკავშირებული სხვა სახის სამუშაოების ჩატარება, სახაზო ნეგებობების მფლობელი იურიდიული პირის მიერ დადგენილი პროცედურების წესების დაცვის და წერილობითი თანხმობა/ნებართვის გარეშე.

შესაბამისად, იმისთვის რომ თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, განხორციელდეს საკომუნიკაციო ელემენტების გადატანითი სამუშაოები, აუცილებელია ჩვენმა კომპანიამ განახორციელოს აღნიშნული სამუშაოების სათანადო პროექტის მომზადება, რომლის მომზადების ღირებულებაც განისაზღვრება სს „სილქნეტში" დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. მომზადებული პროექტით განისაზღვრება ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულება.

პროექტის მომზადების შემდგომ, თქვენი მოთხოვნის და სს „სილქნეტისთვის" პროექტით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულების გადახდის შემთხვევაში, ჩვენი კომპანია უზრუნველყოფს პროექტით გათვალისწინებული საკომუნიკაციო ელემენტის გადატანას აღნიშნული სამუშაოების ჩატარების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

პატივისცემით,

ნუგზარ ჩინჩალაძე

კომერციული დირექტორი

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.95
ტელ: + 995 32 2 10 00 00;
ფაქსი: + 995 32 2 10 00 01
www.silknet.com

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel: + 995 32 2 10 00 00
Fax: + 995 32 2 10 00 01
www.silknet.com